

# საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიში

## სპორტის სფერო

### სპორტის სახელმწიფო მართვის სისტემა

მიმდინარე წლის დასაწყისში სამინისტროსთან არსებულმა „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭომ“, რომლის შემადგენლობაშიც, სამინისტროს თანამშრომლობის გარდა, შედიან საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები, შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილა სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი, რის საფუძველზეც 56 სპორტულ ორგანიზაციას განესაზღვრა 2016 წლის დაფინანსების ოდენობა.

სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპორტული ორგანიზაციების (ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი, კომიტეტი) საქმიანობის მონიტორინგზე, ამ მიზნით:

- მიმდინარე წლის მარტის თვეში შეიმუშავა სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის სტანდარტები. აღნიშნული დაკავშირებულია სპორტსმენების, კვების, განთავსებისა და სავარჯიშო პირობებთან. სტანდარტები გათვლილია ინდივიდუალურად ყველა სპორტის სახეობისთვის და წარმოადგენს სპორტსმენების მზადების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობას;
- ასევე, მიმდინარე წელს განხორციელდა საქართველოში გამართული ყველა საერთაშორისო ღონისძიებების მონიტორინგი, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების მიზნით, აღნიშნული ემსახურება არსებული ხარვეზებისა და პრობლემების გაანალიზებას შემდგომში მასშტაბური ღონისძიებების უფრო მაღალი სტანდარტით ჩატარების მიზნით.

მიმდინარე წელს სამინისტრომ შეიმუშავა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციებისთვის ოფიციალური წერილების წარმოდგენის გამარტივებულ ფორმას. ამ ფორმატის ფარგლებში სპორტულ ორგანიზაციებს ელექტრონული პროგრამის დახმარებით საშუალება აქვთ დისტანციურად, სამინისტროში მოსვლის გარეშე წარმოადგინონ ოფიციალური წერილი და მიიღონ პასუხი. აღნიშნული პროგრამის მართვის ტრენინგები გაიმართა ინდივიდუალურად ყველა სპორტულ ორგანიზაციასთან, რომლის ფარგლებშიც მოხდა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინება. პროგრამა დაინერგა მიმდინარე წლის 1 ივნისიდან და ეფექტურად ხორციელდება.

მიმდინარე წლის დასაწყისში, სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა „ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც უზრუნველყოფს საფეხბურთო ლიგებისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის ამოქმედებას. პროგრამის ფარგლებში მომდევნო 5 წლის განმავლობაში მიზნობრივად დაიხარჯება დაახლოებით 260 მილიონი ლარი, რაც ამ სპორტის სახეობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან ინვესტიციას წარმოადგენს.

მიმდინარე წელს სამინისტრომ შეიმუშავა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, რომელიც დაეგზავნა სპორტულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო უწყებებს შენიშვნებისა და წინადადებების წარმოსადგენად. ამჟამად მიმდინარეობს მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა.

მიმდინარე წელს, სამინისტრომ დაგეგმა სოციოლოგიური კვლევა სპორტულ ღონისძიებებზე გამოვლენილი ძალადობის მიმართულებით და ნოემბერში დაიწყო მისი განხორციელება. კვლევა ტარდება სამინისტროს მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტ სოციოლოგებთან თანამშრომლობით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის აღმოფხვრას სპორტში, რაც საქართველოში სპორტულ ღონისძიებებზე ძალადობის გამოვლენის შესამჩნევ სტატისტიკას უკავშირდება.

### ***მასობრივი სპორტი***

მიმდინარე წელს სამინისტროს მიერ ამოქმედდა მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამა, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. მხარდაჭერა განსაზღვრულია ყოველთვიური დამატებითი ანაზღაურების სახით. თანხის ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად 50-დან 70 ლარამდე ოდენობით და გამოითვლება საქართველოს მთავრობის N436 დადგენილების შესაბამისად, მწვრთნელთა განათლების, ლიცენზირებისა და მიღწეული შედეგების შეფასების შედეგად.

პროგრამის ამოქმედების მიზნით სამინისტრომ გამოითხოვა და დაამუშავა მონაცემები ყველა მაღალმთიანი დასახლებიდან. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ეროვნული სპორტული ფედერაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და განახორციელა პროგრამის პირველი ეტაპის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვის დანამატის ჩარიცხვა მწვრთნელებისათვის.

სათხილამურო სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამინისტრომ, სათხილამურო ფედერაციის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეიმუშავა „სათხილამურო სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს

ოთხ სათხილამურო კურორტზე (გუდაური, ბაკურიანი (კობტაგორა, მიტარბი), სვანეთი (მესტია, თეთნულდი), აჭარა (გოდერძის უღელტეხილი)) სათხილამურო აკადემიებისა და სათხილამურო სკოლების მშენებლობას, სადაც ამ სპორტის სახეობაში ვარჯიშს და ცხოვრებას ყოველწლიურად 500-მდე სპორტსმენი შეძლებს.

ამ მიზნით მიმდინარე წლის ივნისის თვეში გაიმართა შეხვედრები სათხილამურო სპორტის ფედერაციისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე გაჟღერდა რამდენიმე წინადადება, რომლის დოკუმენტში ასახვის შემდეგ სახელმწიფო პროგრამა გადაიგზავნება მთავრობის ადმინისტრაციაში განსახილველად.

საქართველოში მასობრივი სპორტის განვითარების მიზნით, სამინისტრო მიმდინარე წელს აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან და იყენებს ტაიექს (TAIEX - ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი), შედეგად მიმდინარე წლის დეკემბერში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი ევროკავშირიდან, სფეროში არსებული რეალობის შესწავლისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. ამ პროცესში სამინისტროსთან ერთად ჩართული იყო სპორტული ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა.

მასობრივი სპორტის განვითარების და მოსახლეობის სპორტში ჩართულობის კუთხით მიმდინარე წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში რეგისტრირებულ მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენტთა რაოდენობა თითქმის 110 ათასს შეადგენს, რაც განსხვავებულია წინა წლის მონაცემებთან შედარებით (2012 წელი - 33 000 სპორტსმენი; 2013 წელი - 44 000 სპორტსმენი; 2014 წელი - 56 000 სპორტსმენი; 2015 წელი - 68 000 სპორტსმენი; 2016 წელი - 94 800 სპორტსმენი).

### სპორტსმენტთა რაოდენობა წლების მიხედვით

წელი	რაოდენობა
2012	33 000 (ოცდაცამეტი ათასა)
2013	44 000 (ორმოცდაოთხი ათასი)
2014	56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი)
2015	68 000 (სამოცდარვა ათასი)
2016	108 000 (ას რვა ათასი)

წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით 2012 წლიდან დღემდე სპორტსმენტთა რაოდენობა თითქმის 3.5-ჯერ არის გაზრდილი, რაც რა თქმა უნდა ძალიან დადებითი და პოზიტიური შედეგია.

## **სპორტული ინფრასტრუქტურა**

მიმდინარე წლის დასაწყისში სამინისტრომ შეიმუშავა სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ერთიანი მოდელი, რომლის განხორციელების მიზნით, მერიის ბალანსზე არსებული, ახლად აშენებული სპორტული ობიექტები გადმოვიდა სამინისტროს ბალანსზე. თავის მხრივ, სამინისტრომ სსიპ ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრთან არსებულ ა(ა)იპ ზევსს მიანიჭა აღნიშნული ობიექტების მართვის ერთიანი მოდელის განხორციელების უფლებამოსილება. აღნიშნული ა(ა)იპ-ი უკვე შეუდგა საქმიანობას, რომლის მთავარი მიზანი სპორტული ობიექტების მოვლისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფაა.

სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში, სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა სხვადასხვა რეგიონში 24 გარე სავარჯიშო მოწყობილობის დამონტაჟებაზე და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელმაც საანგარიშო პერიოდში დაასრულა სამუშაოები. ამავე პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობებს უკვე გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი.

სპორტული ინფრასტრუქტურის ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით, სამინისტრო ორი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოში არსებული ყველა სპორტული ობიექტის შესახებ მონაცემების შეკრებასა და დამუშავებაზე. დღეის მდგომარეობით, უკვე არსებობს ვებ-გვერდის სატესტო ვერსია, იგი აერთიანებს ყველა მასშტაბისა და დანიშნულების სპორტულ ობიექტს, მათ შესახებ დეტალურ მონაცემებს, ვიზუალურ მასალას და სხვა. აღნიშნული ვებ-გვერდი სპორტული სტატისტიკის ბაზასთან ერთად ერთიანდება ერთ პორტალზე - [www.sportstat.gov.ge](http://www.sportstat.gov.ge), რაც გაამარტივებს მასზე წვდომას და ხელს შეუწყობს მის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას.

სამინისტროს ინდივიდუალური ექსპერტებისა და სპორტული ორგანიზაციების (ფედერაციები, ასოციაციები და სხვა) დახმარებით მიმდინარე წელს შეიმუშავა „სპორტული ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლუატაციის ეროვნული სტანდარტები“, რაც უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე გასამართი შეჯიბრებებისა და ღონისძიებებისათვის მინიმალური ინფრასტრუქტურული სტანდარტების განსაზღვრას. აღნიშნული დოკუმენტი პირველ რიგში ხელს შეუწყობს ეროვნულ დონეზე გასამართი ღონისძიებების ხარისხის ამაღლებას.

## **სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**

სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე წელს საქართველომ მრავალ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლა, კერძოდ:

- დევისის თასი ჩოგბურთში, ევრო/აფრიკული ზონის II ჯგუფის მატჩები;

- ევროპის ქალთა თასი **ხელბურთში**, 19 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- ევროპის შესარჩევი ელიტ-რაუნდი **ფეხბურთში**, 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- „**რაგბი ევროპის**“ მატჩი რუმინეთის წინააღმდეგ;
- **ძიუდოს** „თბილისის გრან-პრი“;
- ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები **ხელბურთში**, 20 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- მსოფლიო თასის გათამაშება ქალთა **ხელბურთში**;
- კონტაქტური **კარატეს** ევროპის ჩემპიონატი;
- იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი **ძალოსნობაში**;
- ევროპის თასი **ჯომარდობაში**;
- ქალთა ევროპის ჩემპიონატი **კალათბურთში**, 18 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- ევროპის შესარჩევი ელიტ რაუნდი **ფეხბურთში**, 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- **მძლეოსნობის** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი;
- დევისის თასი **ჩოგბურთში**, ევრო/აფრიკული ზონის II ჯგუფის მატჩები; (ივლისი);
- ევროპის შესარჩევი მატჩები **კალათბურთში**;
- 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა **ფეხბურთში** საქართველო-ავსტრია;
- მსოფლიო ჩემპიონატი კადეტთა შორის **ჭადრაკში**;
- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი **ფეხბურთში** საქართველო-მოლდოვა;
- ევროპის ჩემპიონატი **ხელბურთში** 18 წლამდელ ვაჟებს შორის;
- ევროპის 2017 წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი **კალათბურთში** საქართველო - ალბანეთი;
- ქ. თბილისის მერიის თასი **კალათბურთში**;
- ევრო 2020, კაცები, პირველი შესარჩევი ეტაპი **ხელბურთში**;
- **რაგბი**, ტესტ-მატჩი საქართველო - იაპონია;
- ევროპის ჩემპიონატი 64 უჯრიან **შაშში**;

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოში ჩამოვიდა 10 ათასამდე სპორტსმენი და 2 ათასამდე ოფიციალური პირი.

სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამის ფარგლებში სპორტის 48 სახეობაში დაფინანსდა 200-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 250-მდე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 120-მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში მონაწილეობა. სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა

საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველმა სპორტსმენებმა 2016 წლის მონაცემებით მოიპოვეს 844 მედალი, მათ შორის 291 ოქრო, 250 ვერცხლი და 303 ბრინჯაო.

### **სპორტული სტატისტიკის მართვა**

დღეის მდგომარეობით საქართველოში არ არსებობს სპორტული სტატისტიკის ერთიანი ბაზა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან, სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპორტული სტატისტიკის ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტის მეშვეობით. აღნიშნული ბაზა გააერთიანებს მონაცემებს სპორტული ღონისძიებების, სპორტსმენების, კლუბების, მწვრთნელების, ფედერაციებისა და სხვა სუბიექტების თაობაზე. დაგეგმილია ბაზაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე სრულყოფილი ინფორმაციის ასახვა ქართველი სპორტსმენების მიერ მიღწეული შედეგების შესახებ. პირველ ეტაპზე მიმდინარე მონაცემებთან ერთად ასახული იქნება ძირითადი სპორტის სახეობების ისტორიული მონაცემები 1980 წლიდან და სრულად ოლიმპიური ისტორია. ამ მიზნით მიმდინარეობს არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა დანერგილი სისტემის შემდგომი დახვეწის მიზნით. აქტიურად მუშავდება საქართველოს ეროვნული ფედერაციების მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები მოვარჯიშე სპორტსმენტა, მწვრთნელთა და მსაჯთა შესახებ, ხდება ინფორმაციის კორექტირება და სისტემაში ასახვა. სპორტული სტატისტიკის ბაზა ინფრასტრუქტურის ერთიან ბაზასთან ერთად გაერთიანდება ერთ პორტალზე [www.sportstat.gov.ge](http://www.sportstat.gov.ge).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად კიდევ ერთ პროექტზე დაიწყო მუშაობა.

სპორტთან დაკავშირებული ისტორიული მასალების გავრცელების მიზნით სამინისტროს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, შეიქმნება ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული სპორტული გამოცემების ელექტრონული არქივი, რომელიც ასევე განთავსდება ქართულის სპორტის სტატისტიკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება როგორც სპორტული ჟურნალისტებისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

პროექტის საწყის ეტაპზე ელექტრონულ არქივში განთავსდება უახლესი გამოცემები, მოგვიანებით კი არქივში შევა ბიბლიოთეკაში დაცული, ყველაზე ძველი ჟურნალ-გაზეთები. მემორანდუმი ითვალისწინებს გრძელვადიან თანამშრომლობას და სპორტული დიდების ყველა დეტალი, რაც ბიბლიოთეკის არქივებშია დაცული, ეტაპობრივად ელექტრონული ფორმითაც იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი.

## საერთაშორისო ურთიერთობები

მიმდინარე წელს სამინისტრო აგრძელებს აქტიურ მუშაობას შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებების ეფექტური დანერგვის მიზნით:

- ევროპის საბჭოს კონვენცია „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“;
- ევროპული კონვენცია „სპორტულ შეჯიბრებებსა და განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის შესახებ“;
- ევროპის საბჭოს „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენცია“.

კონვენციების დანერგვის მიზნით, მიმდინარე წელს დაიგეგმა და განხორციელდა ერთიანი უწყებათაშორისი პლატფორმის შექმნა, რომელიც მუშაობს ყველა ჩამოთვლილი კონვენციის დანერგვაზე. პლატფორმა შეიქმნა უკვე არსებული უწყებათაშორისი კომისიის ბაზაზე, რომელიც კონკრეტულად მანიპულაციებთან ბრძოლის მიზნით, მთავრობის დადგენილებით დაფუძნდა. ცვლილების განხორციელების მიზნით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში დაიგეგმა და გაიმართა უწყებათაშორისი კომისიის რიგით მეორე სხდომა, რის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა კომისიის მუშაობის ფარგლების გაფართოება ყველა ჩამოთვლილ კონვენციაზე მუშაობის კუთხით, ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა. მთავრობის N343 დადგენილებით გაიზარდა კომისიის კომპეტენცია და შემადგენლობა და დღეის მდგომარეობით კომისია საქმიანობს დოპინგის მიმართულებით, აგრეთვე როგორც ეროვნული პლატფორმა („სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებში) და ეროვნული კომიტეტი („ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაცულობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ერთიანი მიდგომების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება). კომისია დაკომპლექტებულია წევრ სამინისტროთა მინისტრის მოადგილეებით და მას თავმჯდომარეობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი.

კომისიის ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით, კომისიის საქმიანობის სამივე მიმართულებით (უსაფრთხოება; გარიგებული მატჩები, დოპინგი) ჩამოყალიბდა თემატური ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია წევრ სამინისტროთა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებით.

მანიპულაციებისა და გარიგებული მატჩების წინააღმდეგ საბრძოლველად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში KCOOS (Keep Crime Out Of Sport). ამ ფარგლებში, საქართველოში შემდგომი რეფორმების დაგეგმვის მიზნით, დამუშავდა ევროპის საბჭოდან მიღებული კითხვარები სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან კოორდინაციით, ქართული მხარის აქტივობა ამ კუთხით,

განსაკუთრებულად იქნა ხაზგასმული პროგრამის ფარგლებში გამართულ რეგიონალურ სემინარზე.

მიმდინარე წლის სექტემბერის თვეში „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის დანერგვის მიზნით გაიმართა კონფერენცია, ევროპის საბჭოს ქვეყნებისა და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სამინისტროც, სადაც მოხდა ამ მიმართულებით წარმატებული გამოცდილებების გაზიარება.

მიმდინარე წლის ოქტომბერში KSOOS პროგრამის ფარგლებში გაიმართა რეგიონალური სემინარი, ქალაქ ბუქარესტში, სადაც ქართულ მხარეს მიეცა შესაძლებლობა გაეზიარებინა მეზობელი ქვეყნების გამოცდილება, წარმოედგინა საქართველოს მიერ ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯები და მონაწილეობა მიეღო ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

მიმდინარე წელს, სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე პროცესებში, ამ მიზნით, გახსნისთანავე ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს ახალ კონვენციას „ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაცულობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ერთიანი მიდგომების შესახებ“. ახალმა კონვენციამ უკვე არსებული შეთანხმება ჩაანაცვლო, რომელიც არსებულ გამოწვევებს უკვე ვეღარ პასუხობს. ამ პროცესმა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკა სპორტულ ღონისძიებებზე უსაფრთხოების გარანტირებისა და ძალადობის პრევენციის კუთხით, ასევე მომსახურების სფეროს სტანდარტების ამაღლების მხრივ. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს სტრასბურგში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ანგარიში, დადებითად შეფასდა.

მიმდინარე წელს, ოქტომბერში საქართველომ მიიღო ევროპის საბჭოს დოპინგის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, ამის შემდეგ სამინისტროს მონაწილეობით კიევში გაიმართა შეხვედრა, რომელზედაც დამტკიცდა ვიზიტის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს დოპინგის მიმართულებით ინსტიტუციურ ცვლილებებს.



# ახალგაზრდობის სფერო

## 1. „მოხალისეობის განვითარების პროგრამა - საქართველოს მოხალისე“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2015 წლიდან სახელმწიფო დონეზე პირველმა დაიწყო „მოხალისეობის განვითარების პროგრამის საქართველოს მოხალისე“-ს განხორციელება. პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა.

პროგრამის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის განვითარება საქართველოს რეგიონებში, მოხალისეობის გზით ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა, ქვეყანაში საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია, მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება და პოპულარიზაცია.

პროგრამის ფარგლებში, სამინისტრო უკვე მეორე წელია კონკურსის საფუძველზე რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით არჩევს საქართველოს 10 რეგიონის 64 მუნიციპალიტეტიდან მოხალისეებს. ამ ეტაპზე პროგრამის პირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს **256 მოხალისეს**, ხოლო არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა დაახლოებით **6000 მოხალისეს**.

შერჩეულმა მონაწილეებმა 5 დღიანი ტრენინგის წარმატებით გავლის შემდეგ მიიღეს „საქართველოს მოხალისის“ სტატუსი. „საქართველოს მოხალისეებს“ საკუთარი თავისუფალი დროის, ცოდნისა და უნარების გამოყენებით, თავიანთ წვლილი შეაქვთ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაში და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე მთელი წლის განმავლობაში რეგიონებში ახორციელებენ ისეთ ინიციატივებს როგორცაა: **საქველმოქმედო და სოციალური ღონისძიებები მოხალისეთა კლუბების შექმნა; გარემოსდაცვითი ღონისძიებები; სოციალური პროექტების განხორციელება; საქველმოქმედო საქმიანობა-სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანების დახმარება; ფილმების ჩვენება; უცხო ენის კურსების გამართვა; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია (სპორტული შეჯიბრებები, მართონები); შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია; ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა; შემოქმედებითი საღამოების გამართვა; ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა.**

„საქართველოს მოხალისეები“ მონაწილეობას იღებენ სამინისტროს ეგიდით გამართულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში, აქტიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო მოხალისეობრივ პროექტებში (European Voluntary Service), სამინისტროსგან იღებენ მოხალისეობრივი პროექტების განხორციელებისთვის მცირე დაფინანსებას, სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისაგან იღებენ ყოველთვიურად საკომუნუნიკაციო ხარჯს 45 ლარის ოდენობით. პროგრამის დასასრულს გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან წლის საუკეთესო მოხალისეები.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს 10 რეგიონში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მოხალისეობის თემაზე ცნობიერების ამაღლების კუთხით და ასევე, სამინისტროს მხარდაჭერით ათივე რეგიონში მოხალისეთა კლუბში გაერთიანებული ახალგაზრდების მიერ გაიმართა კამპანია „**მე მოხალისე აქტიური მოქალაქე**“ (საქველმოქმედო, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული და ა.შ. ღონისძიებები), რომელშიც დაახლოებით **5000** ადგილობრივმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

„საქართველოს მოხალისეების“ მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა **635 ღონისძიება** 7 თვის განმავლობაში.

მოხალისეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა „**მოხალისეთა ერთიანი ეროვნული ბაზა**“, რომელშიც დეცემბრის თვიდან საქართველოს მასშტაბით ყველა მოხალისეს ექნება დარეგისტრირების საშუალება და შემდგომში როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ასევე, სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებების მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალება და ყველა ტიპის მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა. ვებ საიტი მობილური აპლიკაცია წელს აქტიურად ჩაეშვება

პროგრამის ფარგლებში შეიმქნა მოხალისეობის თემაზე სოციალური **ვიდეორგოლი**, რომელიც დეცემბრის თვიდან აქტიურად დატრიალდება სოციალური ქსელში და ხელს შეუწყობს პროგრამის და მოხალისეობის ინსტიტუტის პოპულარიზაციას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ 5 დეკემბერს „მოხალისეობის საერთაშორისო დღეს“ საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ გაიმართა „მოხალისეობის განვითარების პროგრამის საქართველოს მოხალისე“-ს ფარგლებში შემაჯამებელი ღონისძიება, მოეწყო მოხალისეობის თემაზე შექმნილი სოციალური ვიდეორგოლისა და მოხალისეობის ერთიანი ეროვნული ბაზის პრეზენტაცია. ღონისძიების დასასრულს დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო მოხალისეები რეგიონების მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის სიგელი გადაეცა ყველა

„საქართველოს მოხალისეს“. წლის საუკეთესო საქართველოს მოხალისეს **World Vision -მა გადასცა მისთვის დაწესებულ სპეციალური პრიზი.**

პროგრამის განხორციელების შედეგად მოხალისეობის გარშემო ერთიანდება რამდენიმე მხარე ადგილობრივი არასამთავრობო და სამთავრობო სექტორი, ახალგაზრდობა, საქართველოს რეგიონებში იქმნება მოხალისეთა ერთიანი ქსელი, იზრდება საზოგადოებრივ საწყისებზე შრომაში ჩაბმული ახალგაზრდების რაოდენობა.

**პროგრამის ბიუჯეტი 135 000 ლარი.**

**2. საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ქვეყნის ახალგაზრდობის ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს „საერთაშორისო თანამშრომლობის“ ქვეპროგრამას.

**„ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ინტერნეტ სივრცეში“** - აღნიშნული კამპანია ევროსაბჭოს მიერ 2012 წელს იქნა ინიცირებული, რამაც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი. საქართველოში ამ ინიციატივის განხორციელებასა და კოორდინირებას უზრუნველყოფს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. კამპანიის მიზანია ცნობიერების ამაღლება სიძულვილის ენისა და მისი საფრთხეების შესახებ და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ინტერნეტ სივრცეში ნებისმიერი დისკრიმინაციის გამოვლინების წინააღმდეგ. გარდა ამისა ამ ინიციატივის აქტიურად და წარმატებით წარმართვა ერთი წლის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისთვის, რადგან იგი საერთო ევროპული კამპანიის ნაწილია. მიმდინარე წელს დაგეგმილია ვებგვერდისა და საინფორმაციო ვიდეორგოლის შექმნა.

**„საერთაშორისო კონკურსი ალიანტე 2016“** - ალიანტე 15-დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისაგან შემდგარი ორ წევრიანი გუნდების კონკურსია, რომელიც გათვლილია სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებში ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და უსაფრთხოების საკითხებზე ასევე საერთაშორისო ურთიერთობებზე ცნობიერების ამაღლება. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა ლიტერატურიდან თუ ინტერნეტ რესურსებიდან საჭირო ინფორმაციის მოძიების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოსაყენებლად, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნებისათვის საჭირო ინფორმაციის უნარჩვევების გამომუშავების. პროექტის ერთერთი მთავარი კომპონენტია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. კონკურსის ფარგლებში მონაწილეებს ეძლევათ საშუალება შეხვდნენ და გაეცნონ თავიანთ თანატოლებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნიებიდან, ისწავლონ გუნდური მუშაობა, წინააღმდეგობების გადალახვა, გაიუმჯობესონ კომუნიკაციისა და ლიდერობის უნარჩვევები.

**„გაეროს საერთაშორისო მოდელირება საქართველოში“** - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წელს „ევროპულ-ქართულ ინსტიტუტთან ერთად ახორციელებს „გაეროს პირველ საერთაშორისო მოდელირებას საქართველოში“. გაეროს მოდელირება არის პრესტიჟული შემეცნებითი და სასწავლო პროგრამა, რომელიც ტარდება ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. პროექტში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდები რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციებით, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით და საერთაშორისო ურთიერთობებით. მონაწილეები წარმოადგენენ გაეროს 193 წევრ სახელმწიფოს.

**„ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა VI საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი“** - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ და კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციასთან ერთად მიმდინარე წელს გეგმავს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ფესტივალი - სემინარის განხორციელებას. აღნიშნული ფესტივალი წელს პირველად ჩატარდება თბილისში, პროექტში მონაწილეობა მიიღო 50მა კინემატოგრაფისტმა სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალი გაიმართა 29 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით. პროექტის „ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა VI საერთაშორისო ფესტივალი-სემინარი“ ჩატარება მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო: უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა VI საერთაშორისო ფესტივალი-სემინარი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა კულტურათა ინტეგრაციის თვალსაზრისით - მონაწილეები წარმოადგენენ ევროპისა და აზიის კინოსკოლებს; თბილისი სულ უფრო მეტად ხდება კულტურული ღონისძიებების მოწყობის ადგილი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის სექტემბერში უმსაპინძლა ლიტვის რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და შრომის სამინისტროს ოფიციალური ვიზიტს საქართველოში. შეხვედრა ახალგაზრდობის სფეროში გაფორმებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში განიხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ახალგაზრდული პოლიტიკის რეგულირება (კანონი, პოლიტიკა, პროგრამები), სტრუქტურა (ახალგაზრდული სივრცეები, ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ა.შ.) სუბიექტები (სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, ახალგაზრდული მუშაკები). საუკეთესო გამოცდილების გაზიარება ახალგაზრდობის სფეროში; ლიტვის ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ კანონის შექმნის ისტორია; სახელმწიფო მხარდაჭერა (ფინანსური) ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების პროცესში; ევროკავშირისა და სხვა ფონდების მხარდაჭერა ლიტვის ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების პროცესში;

მიმდინარე წელს საერთაშორისო თანამშრომლობის ქვეპროგრამის ბიუჯეტი 61000 ლარი. ხოლო სულ ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 1000 ახალგაზრდას.

### 3. არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა ხოციელდება 2013 წლიდან და მის მიზანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდების რესოციალიზაციის ხელშეწყობა, მათი დაინტერესება სწავლისა და შრომითი საქმიანობისადმი, აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სპორტული უნარ-ჩვევების გამოვლენა-განვითარება, გარე სამყაროსადმი სწორი ორიენტაციის შემუშავება, მათი ჩვევების გაცნობიერება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.

#### პროექტი ხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით, როგორცაა:

- სარეაბილიტაციო და დანაშაულის პრევენციის მიზნით სპორტში აქტიურად ჩართვა;
- არაფორმალური განათლების მიმართულებით ტრენინგ-სემინარების, სწავლების უზრუნველყოფა;
- პროფესიული (სახელობო) სწავლების უზრუნველყოფა;

ყოველივე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ქვეპროგრამის ფარგლებში მსჯავრდებულებთან ხორციელდება

- ფეხბურთის სწავლება (7 თვის განმავლობაში);
- ხეზე კვეთის, ხის მხატვრული დამუშავების სწავლება (8 თვის განმავლობაში);
- ფიტნეს-ვარჯიშები (8 თვის განმავლობაში);
- ეიდეთიკური სწავლების ტრენინგები (3 თვიანი სასწავლო კურსი);
- სპორტული ტურნირები ფეხბურთში;
- ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „რა, სად, როდის?“

დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები ხორციელდებოდა სასჯელაღსრულების N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებთან.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების, წვრთნების, სწავლების, ტრენინგების უზრუნველყოფა მსჯავრდებულებისათვის იყო კრიმინალური ცხოვრების ალტერნატივის შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან, საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. პროგრამამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა პატიმრებს გამხდარიყვნენ მეტად თავდაჯერებულნი საკუთარ შესაძლებლობებში, გააცნობიერებინათ და დაძლიათ უარყოფითი ჩვევები და არასრულფასოვნების კომპლექსი, მათ შეისწავლეს, აითვისეს პროფესიული, სპორტული, ინტელექტუალური, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, დაეუფლენ სპორტის სახეობებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, მიიღეს ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ჯანსაღი ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში.

პროგრამა ხორციელდებოდა სასჯელაღსრულებისა და პროზაციის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით.

ბენეფიციართა რაოდენობა 25.

ბიუჯეტი: 37050 ლარი

### 4. მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა

2013 წლიდან ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა პროფორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა პროფორიენტაციის სარეკომენდაციო, თვითდახმარებაზე ორიენტირებული ვებ-გვერდი [www.myprofession.gov.ge](http://www.myprofession.gov.ge) და სახელმძღვანელო მოზარდებისათვის „აირჩიე პროფესია“. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებისათვის კარიერის დაგეგმვის პროცესში, გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში ხელშეწყობა, პროფესიის არჩევის, კომპეტენციების ათვისების, განვითარებისა და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში დახმარება შექმნილი საკონსულტაციო ვებ-გვერდის საშუალებით.

#### პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- კარიერის დაგეგმვის საკონსულტაციო ვებსერვისის [www.myprofession.gov.ge](http://www.myprofession.gov.ge) -ს განახლება და განვითარება როგორც შიარსობრივად ასევე, ტექნიკურად. ვებგვერდს დაემატა მეთოდური საშუალებები, სარეკომენდაციო მასალები; განახლდა ვებგვერდის ტექნიკური მხარე, ვებგვერდი მორგებულია მობილურებსა და ტაბლეტებზე. სარეკომენდაციო ვებგვერდის განვითარების პარალელურად ახალგაზრდებს კარიერის დაგეგმვის შესახებ მიეწოდებოდათ ინფორმაცია ვებგვერდის მხარდაჭერი ფეისბუქის გვერდის საშუალებით. [www.myprofession.gov.ge](http://www.myprofession.gov.ge) -ს 2013 წლის დეკემბრიდან (შექმნიდან) მიმდინარე წლის დეკემბრის ჩათვლით ყავს 113 296 უნიკალური ვიზიტორი, მხოლოდ 2016 წელს (იანვარი-დეკემბერი) - 31 786 უნიკალური ვიზიტორი.
- პროგრამის ფარგლებში ფსიქოლოგების, დარგის ექსპერტების მიერ, შეიქმნა პიროვნების საკვლევი კითხვარი კარიერული კონსულტაციისთვის, რომელიც განთავსდა [www.myprofession.gov.ge](http://www.myprofession.gov.ge)-ზე. სამიზნე პოპულაციაზე მორგებული და სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს, ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას შეაფასოს საკუთარი პიროვნული

მხასიათებლები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გასაზღვროს შესაბამისი სამუშაო სფერო, სამუშაო გარემო და მიიღოს მეტად გააზრებული გადაწყვეტილება.საგამოფენო ცენტრში „ექსპო-ჯორჯია“ გაიმართა პრეზენტაცია დაინტერესებული მხარეების, სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

- შექიშნა პროფესიების შესახებ 25 ვიდეორგოლი, რომლიც დაემატება ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე უკვე განთავსებულ 70 რგოლს (სულ განთავსებულია 95 რგოლი);
- შექიშნა პროგრამის შესახებ სოციალური სარეკლამო რგოლი, ტელევიზიებისა და ინტერნეტ-სივრცისათვის (20 წამიანი და 30 წამიანი გრაფიკული ვიდეორგოლი)
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, სამინისტროს მიერ შექმნილი [www.myprofession.gov.ge](http://www.myprofession.gov.ge) -ს შესახებ ინფორმაციის მიწოდება ბენეფიციარებისათვის, ასევე, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საჭიროების მიმართულებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება. ასევე, პროგრამის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა „მომავლი ბანაკის“ 6 ნაკადის მონაწილეებთან (თითოეულ ნაკადზე დაახლოებით 300 მონაწილე). სულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 4000 -ზე მეტმა ახალგაზრდამ.
- შექიშნა ნაბეჭდი პროდუქცია პროგრამის შესახებ, დაიბეჭდა და გავრცელდა ახალგაზრდებში სახელმძღვანელო „აირჩიე პროფესია“, ფლაერები, კალმები, სამკერდე ნიშნები პროგრამის ლოგოთი და სლოგანით.
- განხორციელდა კვლევა - „კარიერული კონსულტირებისა და განვითარების სერვისების ხელმისაწვდომობა მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის: არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემები, გამოწვევები, მოლოდინები და განვითარების პერსპექტივები“. კვლევაში ასახულია საქართველოში კარიერული დაგეგმვისა და კონსულტირების სფეროში არსებული ვითარება; სამიზნე პოპულაციის საჭიროებები და მოლოდინები; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კარიერულ კონსულტაციასთან დაკავშირებული პროექტების ცნობადობა და ეფექტიანობა; კარიერის დაგეგმვის სფეროში არსებული ვითარების შესახებ ერთიანი სისტემატიზირებული სურათი. კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების სერვისების ცნობადობა და ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებში;
- პროგრამის ფარგლებში მომზადდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ქვესტანდარტის სამუშაო ვერსია (ჩვენი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც ძირითადად ეხება ვებგვერდის სტანდარტს და ასევე, როგორც უნდა იყოს კარიერის დაგეგმვის და კონსულტირების სტანდარტი არაფორმალურ გარემოში), რომლის შექმნის ვალდებულება სამინისტროს აქვს საქართველოს მთავრობის N721 დადგენილების საფუძველზე. აღნიშნული ქვესტანდარტი მომავალ წელს იქნება განხილული ევროკავშირის EUVEGE პროექტის გუნდთან, პასუხისმგებელ სხვა სამინისტროებთან ერთად და მიღებული იქნება შესაბამისი წესით.
- მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მომუშავე მონაწილე და დაინტერესებულ მხარეებთან -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, სსიპ. გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის EUVEGE“ გუნდთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საკითხით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან.
- აღნიშნული პროექტის განხორციელებით მოზარდებს და ახალგაზრდებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ხელმისაწვდომი პროფკონსულტაციის, კარიერის დაგეგმვის საკონსულტაციო სერვისით; ინტერაქტიულ ვებ-გვერდზე განთავსებული კვალიფიციური პროფორიენტაციისათვის განკუთვნილი ტესტების, კითხვარების, სხვადასხვა საჭირო ინფორმაციული და სარეკომენდაციო ხასიათის მასალების, ასევე, გზამკვლევის, პროფესიებზე შექმნილი ვიდეორგოლების საშუალებით ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უნარების, შესაძლებლობების, ძირითადი პიროვნული მახასიათებლების, პროფესიებთან შესატყვისი ფსიქოტიპების შესახებ,

**შესაბამისი სამუშაო გარემოს შესახებ, მათთვის საინტერესო პროფესიის შესახებ, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების ხერხების შესახებ.** პროექტის განხორციელება დაეხმარება ახალგაზრდებს გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში.

ბენეფიციართა რაოდენობა (იგულისხმება ვებგვერდის უნიკალური ვიზიტორები, ფეისბუქის მომხმარებლები, საინფორმაციო შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდები) 45000.  
ბიუჯეტი : 86 639 ლარი.

## 5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიის პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2013 წლიდან დაიწყო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიის პროგრამის“ განხორციელება.

პროგრამის მიზანია : შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზია; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; კულტურულ-შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობის მოტივაცია; ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მოტივირება; საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება შშმ პირთა თემაზე; შშმ პირთა გადამზადება,მათთვის საჭირო უნარჩვევების შექმნა; შშმ პირთა დასაქმება.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში და ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ინიციატივით 2016 წლის განმავლობაში დაგეგმილია და ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

1. სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
2. ხელოვნება და კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობები შშმ პირთათვის;
3. არაფორმალური განათლება, სპეციალური გადამზადება, დასაქმება და შემეცნებითი აქტივობები;
4. ბანაკები შშმ პირთათვის.

შედეგად ვიღებთ: შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტიმულირება; შშმ პირთა გააქტიურება და მოტივირება; ნიჭიერი შშმ პირების გამოვლენა და მათი წახალისება; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია შშმ პირებში.

- 1) პროგრამირების ინკლუზიური კურსი- პროექტის ფარგლებში შშმ პირები შეისწავლიან მობილური აპლიკაციის დეველოპმენტს, რის საფუძველზეც შეიქმნება ინკლუზიური სტარტაპი რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას.
- 2) უსინათლოთა საერთაშორისო კონფერენცია- პარტნიორ ქვეყნებთან ერთად 3 დღის განმავლობაში გაიმართა კონფერენცია სადაც იმსჯელებს უსინათლოთა პრობლემებსა და დასახეს მომდევნო წლის გეგმები.
- 3) 3 დეკემბრის ღონისძიება- შშმ პირთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ორ დღიანი (3-4) ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში მთელი საქართველოდან მოწვეული შშმ პირები იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ(დარცი, ნარდი, შაში, ჭადრაკი, მკლავჭიდი, გარბენი, მაიგდის ჩოგბურთი, ზოჩა) და კულტურულ (ინკლუზიური გალა კონცერტი, გამოფენები) ღონისძიებებში.

**პროგრამაში მონაწილეობს დაახლოებით 450-მდე ბენეფიციარი.**

**პროგრამის ბიუჯეტი: 120 000ლარი.**

#### **6. მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიზანია სამინისტროს კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში, უზრუნველყოს საქართველოში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა, არაფორმალური განათლების საფუძველზე (სხვადასხვა თემატური ტრენინგ-სემინარების, სახელობო და სპორტული სწავლებების მეშვეობით) ახალგაზრდების ზოგადი განათლების დონის (ერუდიციის) ამაღლება, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, ცნობიერების ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მიზნების მისაღწევად გეგმის მიხედვით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. **არაფორმალური განათლების მიმართულებით**, მზრუნველობამოკლებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო (თემატური) ტრენინგ-სემინარები,

ა) მათის შუა რიცხვებიდან დაიწყო **World Vision-ის** მიერ შემუშავებული „**სასიცოცხლო უნარების**“ **კურიკულუმის** საფუძველზე ხუთთვიანი ტრენინგ-სემინარების განხორციელება; 5 (ხუთი) თვის განმავლობაში თბილისის 3 სახლსა („**ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის**“, „**საქართველოს კარიტასი**“, „**ჩემი სახლი**“) და რეგიონში ( **გორი, ხაშური- ორგანიზაცია " ბილიკი"** ) მდებარე 2 მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები 12-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართათვის ჩატარდა ტრენინგ-სემინარები; ( სულ-5 მცირე საოჯახო სახლი). ვინაიდან მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისა და დღის ცენტრის აღსაზრდელები ზაფხულის პერიოდში გადიან ბიოლოგიურ სახლებში, ზემოაღნიშნული ტრენინგ-კურსის შეჩერება განხორციელდა მ.წ. 16 ივლისიდან-1 სექტემბრამდე, რაც გათვალისწინებული იყო ტენდერის პირობებში, ხოლო აღნიშნული პერიოდის მომსახურება ხორციელდება მომდევნო თვეების განმავლობაში.

**„სასიცოცხლო უნარების კურიკულუმის“** საფუძველზე ტრენინგი უტარდება შემდეგ თემებზე:

- კრიტიკული აზროვნება;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- ემოციების მართვა;
- ინტერპერსონალური ურთიერთობები და სოციალური პასუხისმგებლობა. ( სულ 75 ახალგაზრდა);

ბ) 15 აგვისტოდან დაიწყო **ერუდიციის კურსები** ააიპ **სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრთან** ერთად 2 რეგიონში (გორში - " ბილიკი"-ს ორგანიზაცია და ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტში (წილკანი, გალავანი) მდებარე ორგანიზაცია **Divine Child Foundation of Georgia**) მცირე საოჯახო ტიპის სახლებისთვის, ხოლო 15 სექტემბრიდან დაემატა თბილისის 3 მცირე

საოჯახო სახლი („ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“, "საქართველოს კარიტასი", "ჩემი სახლი") . სწავლება მიმდინარეობდა 3 თვის განმავლობაში .

თითოეული შეხვედრა მოიცავდა: ლიტერატურული ნაწარმოებისა და ავტორის პრეზენტაციას, ცნობილი ადამიანის ან/ და საზოგადო მოღვაწის ცხოვრების განხილვას, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, პოლიტიკის, სპორტისა და სხვა დარგებიდან ინფორმაციას.

ტრენინგზე ყოველდღიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახელმწიფოს გარჩევა და ანალიზი, ისტორიის კულტურის, კაცობრიობის განვითარებაში შეტანილი წვლილის მიხედვით. მოხდა ბენეფიციართა ჩართულობა და მათი დაინტერესება არსებულ ინფორმაციასთან მიმართებაში, გაიზარდა მოტივაცია კითხვის, ცნობიერების ზრდის, შეიცვალა დამოკიდებულება, რომელიც გულისხმობს პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბებას სამყაროსა და კაცობრიობის შესახებ. მონაწილეებმა გააცნობიერეს „რთული“, გზის მნიშვნელობა წარმატების მიღწევის პროცესში.

ერუდიციის კურსების ფარგლებში მ.წ. 18 ნოემბერს განხორციელდა **შემაჯამებელი თამაში: რა? სად ? როდის?**, რომელსაც უმასპინძლა ქ.გორმა ( ორგანიზაცია „ ბილიკი“). პროექტი მიზნად ისახავდა მზრუნველობამოკლებულ ახალგაზრდების მიერ მიღებული სწავლის და ცოდნის გაანალიზებას , მათი სწავლისადმი ინტერესის, მოტივაციის გაზრდას და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და წამახალისებელი საჩუქრები (წიგნები და სხვა).

მსგავსი სახის შემეჯამებელი თამაში : რა? სად? როდის ? დაგეგმილია მ.წ. 19 დეკემბერს.

2) **სპორტული მიმართულებით** აპრილის თვიდან წლის ბოლომდე მიმდინარეობს **სწავლება ფეხბურთის** კუთხით და წარმატებით განხორციელდება „ **ჯანსაღი და ნათელი მომავლისთვის**“ . სწავლება მიმდინარეობდა თბილისში და რეგიონებში ( ქუთაისის 2 გუნდი, გორი, წყალტუბო, ფრეზეთი). პროგრამა მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას, მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას, ნიჭიერი და პერსპექტიული მოზარდების გამოვლენას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტურნირები და მ.წ. 2-4 დეკემბერს თბილისში, ზაზა ბენდელიანის სახელობის სტადიონზე „მინი ფეხბურთის ფესტივალი“ ჩატარდა. გუნდები დევნილი ახალგაზრდებით და მცირე საოჯახო ტიპის აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად თბილისსა და რეგიონებში 8 გუნდი შეირჩა, სულ 64 მონაწილე. ფინალურ ღონისძიებაზე ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდები სპორტული ეკვიპირებით და ბურთებით დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და ფულადი პრიზები.

3) მათის თვიდან დაწყებული ფართომასშტაბიანი 2 პროექტი: **„შემოსე თანამოქალაქე“** და **„წიგნი ყველა სოფელს“** წარმატებით დასრულდა **30 სექტემბერს**.

ზემოხსენებული ორივე პროექტი სოციალურია, რომლის ფარგლებში 5 თვის განმავლობაში **ააიპ“ სტუდენტურ ერთიანობი“-ს**, პროექტების პარტნიორებისა და ქველმოქმედი საზოგადოების დახმარებით არანაკლებ 10000 ცალი სამოსი და 15 000 წიგნი შეგროვდა, დახარისხდა სახეობების, ჟანრების მიხედვით და განხორციელდა რეგიონებში ჩატანა. ყოველთვიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აჭარის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთში და სხვა)გემის მიხედვით **3000 ცალზე მეტი** წიგნისა და **2000** სამოსის ჩატანა განხორციელდა.

4) ზაფხულის პერიოდში ჩატარდა **ექსკურსიების პროგრამა** თბილისის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ახალგაზრდებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოსანახულებლად;

**პროექტის ბიუჯეტი: 100 000 ლარი**

## **7. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამა**

**მიზანი:** პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას. პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობი გარემოს შექმნას, პრობლემიდან გამომდინარე ძალზედ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის ინტენსიური ზომების მიღება, რაც მიმართულია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებისაკენ. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ. პროგრამის ფარგლებში გაიმართება კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობები, სტუდენტური დღეები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, ინტელექტუალური კონკურსები და სხვა.

## სტუდენტური დღეები 2016

17 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა „სტუდენტური დღეები 2016“. - სტუდენტური დღეების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას, თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას და საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაციას. სტუდენტურ დღეებს აქვს კონკურსის სახე, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. 2016 წელს პროექტში, მონაწილეობდა 50 უმაღლესი სასწავლებლის 6000-მდე სტუდენტი. სტუდენტური დღეები 2016-ის ფარგლებში ჩატარდა სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური ღონისძიება. 17 ივნისს დასკვნითი კონცერტი გაიმართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სადაც დაჯილდოვდნენ როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდურ ნომინაციებში გამარჯვებული სტუდენტები. ხოლო გამარჯვებულ უნივერსიტეტს გრან-პრის ჯილდო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა გადასცა.

**პროექტის ბიუჯეტი: 165000 ლარი**

### 8. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების - "კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამის" ფარგლებში ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს, 2016 წლის 14 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე სარეაბილიტაციო-ადდენით სამუშაოებში, სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფების მონაწილეობას.

პროგრამა მოიცავს საქართველოს ისტორიულ კულტურულ ძეგლებზე სტუდენტური ჯგუფების გამგზავრებას ამ ძეგლების ადდენებისა და რეაბილიტაციის მიზნით.

პროგრამის განხორციელების შედეგად ხდება სულიერი მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; გარემოს დაცვის კულტურის განვითარება, ისტორიული ძეგლების პოტენციალის შესწავლა, მათი დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და აღორძინება, ახალგაზრდების კულტურულ შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობის დონის ამაღლება.

2016 წელს პროექტში 250-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს.

**პროექტის ბიუჯეტი: 20 000 ლარი**

### 9. "რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა"

**მიზანი:** თანაბარი პირობების შექმნა რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული განვითარებისათვის, მოზარდების წახალისება, სტიმულირება და ხელშეწყობა, რათა მათ მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები, იყვნენ მეტად აქტიური და გამოიჩინონ მეტი ინიციატივა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში.

#### ***განხორციელებული ღონისძიებები:***

#### **1. „საქართველოს თასი ლაშქრობაში“.**

პროექტის განხორციელება დაიწყო 2 ივლისიდან. მონაწილეობა მიიღო 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან. მონაწილეებს ადგილზე ჩაუტარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი თამაშის სპეციფიკისა და პრინციპების შესახებ, ასევე, მიიღეს სასარგებლო ინფორმაციას ბუნებაში ორიენტირებისა და თვითგადარჩენის ხერხების შესახებ. პროექტი განხორციელდა II ეტაპად. I ეტაპზე თითოეულ მუნიციპალიტეტში შეიქმნა 5 კაციანი მუნიციპალური გუნდები, რომლებიც შეეჯიბრნენ ერთმანეთს საუკეთესო რეგიონული გუნდის გამოსავლენად. მე-2 ეტაპზე, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში, ორი დღის განმავლობაში გაიმართა 10 რეგიონული გუნდის შეეჯიბრება და გამოვლინდა ერთი გამარჯვებული გუნდი, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი - გარდამავალი „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ და თითოეული მონაწილისათვის სამახსოვრო სერტიფიკატი.

#### ***რეგიონული შეჯიბრებების მოწყობის ადგილები:***

- კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები - პანკისის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- მცხეთა - მთიანეთისა და შიდა ქართლის - თბილისის ეროვნულ პარკში;
- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის - ალაგეთის ეროვნულ პარკში;

- იმერეთის მუნიციპალიტეტები - საირმის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- სამეგრელო - ზემო სვანეთის - სამეგრელოს დაცულ ტერიტორიებზე;
- გურიისა და აჭარის მუნიციპალიტეტები - მტირალას ეროვნული პარკში;
- რაჭა - ლეჩხუმი ქვემო სვანეთის - შაორის წყალსაცავთან;
- ფინალი - ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკში.

**ბენეფიციართა რაოდენობა/პირდაპირი - 380 მონაწილე**

**2. სკაუტური ბანაკი**

„საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციასთან“ ერთად, მიმდინარე წლის 27 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფოლადაურში მოეწყო 450 კაციანი ერთობლივი საზაფხულო სკაუტური ბანაკი, რომელშიც, სამინისტროს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 15-დან 26 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან, ასევე, 2008 წლის ომში საერთაშორისო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეთა შვილებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და უკრაინიდან მოწვეულმა 35 მოზარდმა. სულ სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარე წელს ბანაკში დაისვენა 140 მონაწილემ.

ბანაკის განმავლობაში მონაწილეები გადიოდნენ შემდეგ სწავლებებს:

**ბენეფიციართა რაოდენობა/პირდაპირი - 140 მონაწილე**

**3. ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ ინიციატივით, მიმდინარე წლის ივლისი-აგვისტოს თვეებში განხორციელდა ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით ერთკვირიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ზემოაღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა გადამზადება, კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის ამაღლება ახალგაზრდული საქმიანობის კუთხით, რაც დასაბამს მისცემს სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის ახალ საფეხურზე გადასვლას, ცოდნისა და გამოცდილების თანაგაზიარებას, ახალი იდეების კონკრეტული ინიციატივების სახით ჩამოყალიბებას, რომელთა წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის“ მიზნის ადგილობრივ დონეზე ეფექტურ გატარებას, ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც მათ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა მიეცემა.

**ბენეფიციართა რაოდენობა/პირდაპირი - 76 მონაწილე**

**4. გალაკტიონობა-2016**

2016 წლის 18-19 ივნისს, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონობა მერვედ გაიმართა. ფესტივალს ახალგაზრდების გალაკტიონის შემოქმედებასთან დაახლოების მიზნით აქვს კონკურსის სახე.

ლონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა მოსწავლე-ახალგაზრდამ, მათშორის ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ ახალგაზრდებმა.

**ბენეფიციართა რაოდენობა/პირდაპირი - 250 მონაწილე**

სულ: პროექტის ბიუჯეტი - 206 000 ლარი

**10. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის მიზნია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების განვითარებას, მათში აქტიური მოქალაქეობის იდეის, სახელმწიფოებრივი და თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას. ლონისძიებების უმეტესობა დაფუძნებულია არაფორმალური სწავლების ელემენტებსა და საინფორმაციო კამპანიებზე, ასევე ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებსა და სპეციალურ ქართული ენის შემსწავლელ ელექტრონულ/ონლაინ კურსებზე და საზაფხულო ექსპედიციებზე.

**რადიო ჟურნალისტიკა და კომუნიკაციის მართვა**

განხორციელდა 4 თვიანი სასწავლო პროგრამა აზრბაიჯანულ და სომხურ რადიოში. აღსანიშნავია რომ აღნიშნული სწავლების შედეგად რადიოში დასაქმდა 10 ახალგაზრდა.

**ლიტერატურული კრებული „ჩემი სამშობლო საქართველო“**



2016 წელს სამინისტროს მიერ შეიქმნა ლიტერატურული კრებული „ჩემი სამშობლო საქართველო“, რომლის საშუალებით გამოვლინდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პოეზიის ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები. კრებული გამოიცა ასევე ბრაილის შრიფტითაც. პროექტის მიმართ გამოხატული ინტერესების შედეგად 2017 წელს აღნიშნული კრებულის გაგრძელება, პროზასა და პოეზიაში ასევე მონაწილეთა არეალის გაფართოება.

#### **ქართული ენის ონლაინ/დისტანციური სწავლება ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდებისათვის**

2014-2015 წელს სამინისტრომ შექმნა ქართული ენის ელექტრონული სწავლების მოდული ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდებისთვის. აღნიშნული პროექტების შესახებ ინფორმაციის გაგრძელების მიზნით 2016 წელს განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები და პრეზენტაციები საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

#### **საზაფხულო საექსპედიციო არქეოლოგიური ზანაკი**

ექსპედიცია განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობით ხვამლის მთაზე, რომლის მიმდებარედ განთავსებულია მრავალი არქეოლოგიური ობიექტი. ექსპედიციაში მონაწილეთათვის მოეწყო ტურისტული მარშრუტები. პროგრამის ბოლოს ახალგაზრდებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

#### **ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“**

მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ", 2008 წელს დაფუძნდა და მოიცავს რეგიონული კონცერტების ციკლს, რომლის მიზანია ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა და ქართველმა მოზარდებმა, რომლებმაც საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელი კლასიკური მუსიკის ნიმუშები წარმოადგინეს. ფესტივალის ფარგლებში მეორე, კლასიკური მუსიკის კონცერტი მიმდინარე წლის 20 ნოემბერს ბათუმში გაიმართა, სადაც მონაწილეობ მიიღეს დასავლეთ საქართველოს რეგიონში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა და ქართველმა ახალგაზრდა შემსრულებლებმა.

#### **აუდიო სპექტაკლების დადგმა/ ჩაწერა DVD დისკებზე**

პროგრამის ფარგლებში ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის და მათი კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის მიზნით, სამინისტრო რამდენიმე წელია ახორციელებს აუდიო სპექტაკლების დადგმას სხვადასხვა ენაზე, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, აფხაზური, ვაინახური, რუსული) .

#### **სპორტული ტურნირები და ინვენტარი**

წლის განმავლობაში მიმდინარეობს სპორტული სწავლება ძიუდოში პანკისში მცხოვრები 60 ახალგაზრდისათვის.

9 ივლისს ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პანკისის ხეობაში მოეწყო კულტურულ საგანმანათლებლო და სპორტული ტურნირები 8 სახეობაში ფრენბურთი, ფეხბურთი, ჭიდაობა, მაგიდის ტენისი, სირბილი, მკლავჭიდი, დოლი, შაში (გოგონათა შორის). სპორტული ინვენტარი გადაეცათ განახლებულ ძიუდოს დარბაზში მოვარჯიშე 100 ახალგაზრდას.

#### **ალპინისტური ზანაკი - ექსპედიცია ჭაოხში**

მიმდინარე წლის 4-7 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 20 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა ჩაერთო ალპინისტურ ექსპედიციაში, რომელიც მოეწყო ჭაოხში გრ.

**პროექტის ბიუჯეტი: 100,000 ლარი**

**ბენეფიციართა რაოდენობა: 2000**

#### **საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა**

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ოკუპაციის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორებულ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა. იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების სპორტულ და სოციალურ აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერა.

იძულებით გადაადგილებული და ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს შემდეგი სპორტული სწავლებები:

- 2016 წლის 15 აპრილიდან 100 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვის ფეხბურთის 7 თვიანი სწავლება ქალაქ ფოთში და ფრეხეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში.

- 2016 წლის 24 მარტიდან 100 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვის მიუღოს 8 თვიანი სწავლება ფრეზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში და პანკისის ხეობის სოფელ დუისში.
- 2016 წლის 8 აპრილიდან 50 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვის რაგბის 8 თვიანი სწავლება წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში.
- 2016 წლის 16 მარტიდან 50 ახალგაზრდებისთვის მეკლდეურობის 10 თვიანი სწავლება სოფელ ნიქოზში.
- 2016 წლის 17 აპრილიდან 25 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვის ამერიკული ფეხბურთის 6 თვიანი სწავლება თბილისში.
- 2016 წლის 10 ივლისიდან 25 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვის აფროსნობის 5 თვიანი სწავლება თბილისში.

2016 წლის 24 ივნისიდან წლის ბოლომდე ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ვორქშოფები სტუდენტებთან ქართული, აფხაზური და ოსური ნარატიული ინტერვიუების გამოყენებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, წლის ბოლომდე, ვორქშოფების სერია გამართება 240 ბენეფიციარისთვის თბილისში, ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისსა და წყალტუბოში. პროექტი ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში.

2016 წლის 24 ივნისიდან წლის ბოლომდე მშვიდობის მშენებლობის შესახებ სადისკუსიო პლატფორმის ფარგლებში მიმდინარეობს ვორქშოფების ინტენსიური კურსი სტუდენტებთან ქართული, აფხაზური და ოსური ნარატიული ინტერვიუების გამოყენებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შერჩეული მონაწილეებისთვის სადისკუსიო ვორქშოფები გაგრძელდება წლის ბოლომდე.

**პროგრამის სრული ხარჯი შეადგენს 80000 ლარს.**

**ბენეფიციართა რაოდენობა/პირდაპირი - 540 მონაწილე**